1 აპრილი

ოთხშაბათი
2026

დიდი ოთხშაბათი, [II], I

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში

„უფალი ღმერთი მეწმარება. ეს 50,9

წინასწარმეტყველის სიტყვებია, თუმცა წინასწარმეტყველი ამას იესოს შესახებ ამბობს. მას მთელი ნდობა მამაზე აქვს დამყარებული, თუნდაც იმედგაცრუების მომენტებში. სწორედ ამიტომ შეუძლია მას უყვარდეს გამყიდველი და უყვარდეს იგი ბოლომდე. მეც ვისწავლი იესოსგან, რომ უნდა ვენდო სრულიად ჩვენს მამას.

2 აპრილი

ხუთშაბათი
2026

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

წმ. ფრანცისკე პაოლელი,
იტალიელი მეუდაბნოე +1507

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15

უფლის სერობის წირვა

თქუენ უნდ დბანოთ ფეხები ერთმანეთს იო 13,14

ეს არის ახალი მცნება, რომელსაც იესო გვაძლევს. იგი პირველია, ვინც ამას ასრულებს, რათა ვიცოდეთ, რომ ეს შესაძლებელია. ფეხების დაბანა დედობას ჰგავს: დედა სიხარულით ბანს ფეხებს საკუთარ ბავშვებს. დედობრივი სიყვარული გამოარჩევს იესოს მოწაფეებს: თითოეული, მოკრძალებით, იხრება მეორეს წინაშე და თითოეული ღებულობს, რომ მეორეც მოიხაროს მის წინაშე.

3 აპრილი

პარასკევი
2026

წითელი პარასკევი, [ს], წ

ეს 52,13 - 53,12; ფს 30; ებრ 4,14-16; 5,7-9; იო 18,1 - 19,42

მძიმე მარხვის დღე. უფლის ჯვარზე სიკვდილის გასახსენებლად ამ დღის 15.00სთ-ზე ყველამ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ, გამოყოს მდუმარებისა და ლოცვის დრო. შესაწირი წმ. მიწისთვის.

შენ ამბობთ: მე მეფე ვარ იო 18,37

იესო, ამგვარად პასუხობ პილატეს, რომელსაც არ ესმის შენი. მისთვის მეფობა ნიშნავს ბრძანებას, შენთვის კი მსახურებას და სიცოცხლის გაღებას, ჯვარზე სიკვდილამდე. შენი სამეფო არის ძმებისა და მეგობრების სამეფო, და არა ქვეშევრდომებისა და მოხელეების. შენ ხარ ჩემი მეფე, იესო: მიმიღე შენს სამეფოში, რომ შენს ძმებს ვემსახურო.

4 აპრილი

შაბათი

2026

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

[წმ. ისიდორე, სევილიის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი +636]

ესენი ეძებენ ჩემ სულსა, ოღონდ ამოიგდონ ანგარიშონაჲ სიბრძ 2,19

დღეს დილის ლოცვებში ვისმენთ ამ იმედის ძახილს. იესომ გასცა სიცოცხლე, მაგრამ დარწმუნებულია იმ ხელების მიმართ, რომ-ლებმაც ის მიიღეს. იგი მიიღებს ასმაგს: მამა მას აღადგენს თავის სიცოცხლეში, თანაც ურიცხვ ძმებათა ჯგუფთან ერთად!

5 აპრილი

კვირა

2026

პასექის კვირადღე, უფლის აღდგომა
«ა», დდ, [ს], თ

წმ. ბიკენტი ფერერი, ხუცესი,
ესპანელი დომინიკელი +1419

საქმ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 ან 1კორ 5,6-8;
იო 20,1-9 ან მთ 28,1-10

ამბავსა ჩემსა ეტყოდა იო 20,8

დღეს მონაწილეობას ვიღებთ მოციქულების რწმენის სიხარულში, რომლებიც სამარხთან მივიდნენ და ის ცარიელი დახვდათ. უფრო სწორად, მხოლოდ ის სუდარა აღმოაჩინეს, რომელშიც იესო განისვენებდა. ის სხეული აღარ არის, რატომ? მათ ჯერ კიდევ არ იციან. მე ვიცი, მაგრამ ვერ გამოვთქვამ. მეც ვხარობ მღერით: ალელუია!

6 ორშაბათი 2026

აპრილი

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

ეს იესო ღმერთმა აღადგინა საქმ 2,32

ეს არის სიტყვები, რომლითაც პეტრემ იე-
რუსალიმის მკვიდრთ აუწყა საიდუმლო,
რომელსაც ვზეიმობთ. მამა ღმერთმა არ
დაუტოვა იესო სიკვდილს, მას სურს, რომ მან
კვლავაც აღავსოს ქვეყნიერება იმედით და
ახალი სიცოცხლით თავისი სიყვარულითა
და თავმდაბლობით. ის ჩვენითაც მოქმედებს,
ვისაც მისი აღდგომა გვწამს.

7 აპრილი

სამშაბათი
2026

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

წმ. ჟან ბატისტ დე ლა სალ, ხუც., ქრისტიანულ
სკოლათა ძმების დამაარსებელი +1719 რუანში

საქმ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

იესო- უთხრა: "მარიამ" იო 20,16

მარიამი ტიროდა. მისი ტირილი დიდი სი-
ყვარულის ნიშანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ
ეს ტირილი სიკვდილს ადასტურებდა, მაშინ
როდესაც იესო ცოცხალია, და მისი სიცო-
ცხლე ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე ის,
რომლის დაკარგვითაც იგი ტირის. ის თავად
ეჩვენა მას, მისი სახელის წარმოთქმით. ის
მეც მიხმობს ჩემი სახელით, რათა მეც ჩემი
სიკვდილიდან გამომაღვიძოს.

8 აპრილი

ოთხშაბათი
2026

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

იესო ქრისტეს სწილით, წელ ტ ადგარე საქმ 3,6

როგორ შეიძლება ამგვარი რამ მოსთხოვო ადამიანს, რომელსაც არასოდეს უვლია? პეტრე, იმ თევზაობის გახსენებით, როდესაც დღისით დაიჭირეს უამრავი თევზი, რადგან იესოს სიტყვას ენდო, შეაძლებინებს იმ კაცს ბრძანების შესრულებას. ის კი რას აკეთებს? ემორჩილება! თავად იესოა აქ თავისი სიყვა-რულის ძალით: იგი შესაძლებელს ხდის ამ მორჩილებას.

9 აპრილი

ხუთშაბათი
2026

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

ძმა დემეტრე თბილელის გახსენება (+1321)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე

ᲛᲮᲚᲘᲗ ᲠᲔᲛᲚ ᲮᲚᲘᲗᲑᲡ: ᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲔ ᲕᲐᲠ! ლკ 24,39

მათ მხოლოდ დაეჭვება შეეძლოთ. არ ენდობიან საკუთარ თვალებს. ეს იესოა, და ამოსაცნობად სახეს როდი უჩვენებს, შესაძლოა მოჩვენება ეგონოთ. თუმცა, ხელები რომლებსაც ატყვია ნალურსმევი, ვერ იცრუებენ. როდესაც განვიცდი კონკრეტულ ტკივილს, მაშინ შეგიძლია ირწმუნო რომ ნამდვილად მწამს აღმდგარი იესო.

10 აპრილი

პარასკევი | 2026

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

ეს უფალია იო 21,7

როგორ შეუძლია მოწაფეს ამტკიცოს ეს თავდაჯერებით? მან რაღაც მეტი დაინახა, ვიდრე სხვებმა? არა, მისთვის კმარა მხოლოდ თევზების, იმ უცხოსადმი გამოჩენილი მათი მორჩილების ნაყოფის დანახვა. სხვა ვერავინ იქნება თუ არა უფალი: იგია ის, ვინც "ბრძანებს და ყველაფერი სრულდება".

11 აპრილი

შაბათი
2026

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ
წმ. სტანისლავი, კრაკოვის ეპისკოპოსი,
წამებული, +1079 წ

საქმ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

არ შეიძლია არ ვილაპარაკოთ ის, რაც ვიხილეთ საქმ 4,20

მათ იხილეს როგორ დახტოდა სიხარულით ერთი ხეიბარი მხოლოდ იესოს სახელის მოსმენით. მეც ბევრი რამ მინახავს! მინახავს მტრები, რომლებიც იესოს სახელით მეგობრდებოდნენ. მინახავს კაცები და ქალები, რომლებიც სიყვარულით ემსახურებოდნენ იესოს სნეულებში მადლობის გარეშე. მინახიხარ შენ, როდესაც იესოს სიყვარულით დამცირებებს იღებდი, როდესაც ფეხზე დგებოდი მისი მიტევებით. მრავალი რამ მინახავს! არ შემიძლია არ გითხრა, რომ იესო ნამდვილად აღდგა!

12 აპრილი

კვირა
2026

პასექის II კვირადღე,
ღმრთაებრივი გულმოწყალებისა,
«ა», [ს], თ

საქმ 4,42-47; ფს 117; 1პეტ 1,3-9; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა
აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

როგორც მამამ მომავლინა მე,
მეც მიგავლინთ თქვენ იო 20,21

იესო კვლავ დგება მოციქულთა შორის, რვა დღის შემდეგ. ამჯერად იგი მოთმინებით იღებს თომას, რადგან ისიც "მივლენილია" სამყაროში, რომ მამის სიყვარულს შეასხას ხორცი და ყველგან იესოს სახელი მიიტანოს, იესოსი, რომელშიცაა საუკუნო სიცოცხლე. ასე გამოიხატება მამის წყალობა, რომელიც ცვლის ადამიანების გულებს.

13 ორშაბათი 2026

აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

წმ. მარტინ I, პაპი, ყირიმში წამებული, +655

საქმ 4,23-31; ფს 2; იო 3,1-8

ყველანი აღიესნენ სულიწმიდით საქმ 4,31

ვინ არიან ეს ადამიანები? ისინი, ვინც ლოცვაში იყვნენ, როდესაც პეტრე და იოანე გამოუშვეს სატუსაღოდან. ლოცვაში როდი ჩივიან, რომ მოციქულები დააპატიმრეს, არამედ აღიარებენ ღმერთის გეგმებს ამ ამბავში, და ითხოვენ, რომ კვლავ გამოვლინდეს, რათა სხვებმაც გაიცნონ იგი და მოექცნენ.

14 აპრილი

სამშაბათი
2026

პასექის II კვირა [II], თ

(1.IV) წმ. ღირსი იოანე შავთელი, XI-XIIსს

საქმ 4,32-37; ფს 92; იო 3,7-15

უნდ ამაღლდეს კაცის ძე იო 3,14

იესომ უწყის ღმერთის ნება, რომელიც მას ეხება. იცის, რომ აუცილებელია, რომ იგი ჯვარზე ამაღლდეს, რათა ადამიანები განიკურნონ გველის ნაკბენებისგან, ანუ ცოდვისა და მისი შედეგებისგან. შესრულდება მოსეს წინასწარმეტყველება: მაშინ, ვინც შეხედავდა ბრინჯაოს გველს ძელზე, იკურნებოდა. ახლა, ვინც იესოს ჯვარს მიენდობა, მიიღებს სიცოცხლეს, უკვდავ სიცოცხლეს!

15 ოთხშაბათი 2026

აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

(2.IV) წმ. გიორგი მაწყვერელი, IX-XIს

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

ქრისტე ნათელი ჩუთისოფელნ იო 3,19

წუთისოფელი წყვდიადია. ნამდვილად ადამიანები არ ხედავენ მამა ღმერთის სიყვარულს. საჭიროა ახალი შუქი. ეს შუქი მოვიდა და უკვე ანათებს და თვალებს გვიხელს: ეს არის იესო, რომელიც კვლავ საუბრობს ნიკოდემოსთან. თუმცა, ყველა ადამიანი როდი აფასებს შუქს: ვისაც ბოროტება უყვარს, სიბნელე ურჩევნია, რათა არ გაიკიცხოს. მე მინდა შუქი, რათა არ დავრჩე ბრმა.

16 ხუთშაბათი 2026

აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

ჩვენ ამქვეყნის ღმერთმა აღადგინა იესო. საქმ 5,30

პეტრე ესაუბრება ტაძრის მღვდელმთავარს. რისი თქმა შეუძლია? მარტივად: შენ მიბრძანე გაჩუმება, რომ არ ვილაპარაკო იესოზე, მაგრამ ჩვენ ვერ ვიცრუებთ. იესო აღდგა, და ეს ღმერთის საქმეა, რომელიც ყველასთვის სასარგებლოა, მათ შორის შენთვისაც!

17 აპრილი

პარასკევი
2026

პასექის II კვირა [II], თ

საქმ 5,34-42; ფს 26; იო 6,1-15

უთხარით ხალხს, დსხდნენ იო 6,10

იესო ამ ბრძანებას აძლევს მოწაფეებს. ხალხი მშიერია და უპურო. რა უნდა იღონონ? პირველ რიგში, უნდა იყოს თავმდაბალი და ნდობით სავსე მორჩილება: დაჯექი ბალახზე და დაელოდე. შემდეგ იგი მადლობას უძღვნის მამას: აღიარებს, რომ ყველაფერი მისი სიყვარულისგან მოდის. მამა პასუხობს ძის მადლობას, და ყველანი მაძღრისად დაპურდებიან.

18 აპრილი

შაბათი
2026

პასექის II კვირა [II], თ

საქმ 6,1-7; ფს 32; იო 6,16-21

ეს მე ვარ, ნუ შეშინდებით! იო 6,20

ეს იესოა, რომელიც ღამით შეშინებულ მოწაფეებს დაენახვება. ისინი ნავში არიან, მისი ბრძანებისამებრ: აღელვებული ტბის მეორე მხარეს მიდიან. ის კი? იგი წყალზე მოაბიჯებს. შესაძლებელია კი ეს? რა თქმა უნდა: იგი არ ტოვებს მათ, ვინც მას ემორჩილება, და მათ დასახმარებლად წყალზეც კი დადის. ასე სწავლობენ მოწაფეები, რომ არასდროს უნდა შეშინდნენ!

19 აპრილი

კვირა 2026

პასექის III კვირადღე, «ა», [III], თ

საქმ 2,14.22-33; ფს 15; 1პეტ 1,17-21; ლკ 24,13-35

თჳალ იესო ტიმგზავრა მათ ლკ 24,15

ჩვენ ვართ იმ გზაზე, რომელიც ემაუსისკენ მიდის. იესოს ორი მოწაფე, იმედგაცრუებული და დამწუხრებული, კმაყოფილნი არიან, რომ თანამგზავრი დაემგზავრათ. მაგრამ ისინი ხვდებიან, რომ მგზავრი განსაკუთრებულია: მან იცის წერილები და სერიოზულად აღიქ-ვამს მათ, მათზე უფრო მეტად. ასე მნიშვნე-ლოვანია წერილები?

20 ორშაბათი 2026

აპრილი

საქმ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

მას ჰასუა ბერძელი ესმა ღმერთმა იო 6,27

მას უსვამენ უსარგებლო შეკითხვას: "როდის მოხვედი აქ?". იგი ამ კითხვას არ პასუხობს, არამედ ეუბნება მათ, რაც მნიშვნელოვანია, რაც მათ დაეხმარება ცხოვრების შეცვლაში: მოემზადეთ იმაზე, რაც საჭიროა მარადიული სიცოცხლისათვის! სწორედ ამაში შემიძლია დაგეხმაროთ, რადგან ღმერთმა, მამამ, და-განახათ, რომ მე მისი ვარ, როდესაც გუშინ მოგეცით პური ყველასათვის.

21 აპრილი

სამშაბათი
2026

პასექის III კვირა [III], თ

წმ. ანსელმი, კენტერბერის ეპისკოპოსი, ბენედიქტელი, ეკლესიის მოძღვარი, +1109

საქმ 7,51 - 8,1; ფს 30; იო 6,30-35

უფალო იესო, მიიღე სული ჩემი საქმ 7,59

სტეფანე, საკრებულოს მსახური, ქვების სეტყვის ქვეშ კვდება. იგი როდი გაჰყვირის მათ წინააღმდეგ, არ იწყევლება: ისინიც უნდა გადარჩნენ იესოს მიერ! იგი იმას მიეძღვნის, რომელიც სიხარულსა და ძალას იძლევა, რათა მათთვის პატიება ითხოვოს.

22 ოთხშაბათი 2026

აპრილი

საქმ 8,1-8; ფს 65; იო 6,35-40

ყველაფერი, რაც მომა ძალუძს, მოგვ ხელმწ̣ი̣ფ̣ ̣ ̣

23 აპრილი

ხუთშაბათი
2026

პასექის III კვირა [III], თ

წმ. გიორგი, წამებული ლიდაში, პალესტინაში +303
(საქართველოში აღინიშნება 23 ნოემბერს)
წმ. ადალბერტი, პრაღის ეპისკოპოსი, წამებული, +997 გდანსკის მიდამოებში, პოლონეთში

საქმ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)

საქმ 8,35

ჩვენ ვართ გზაზე, რომელიც იერუსალიმი-
დან ღაზისკენ მიდის. ეთიოპიის დედოფლის
მოხელე ესაიას წიგნს კითხულობს, მაგრამ
ვერ იგებს. მას ახსნა სჭირდება. ფილიპე მას
უთხრობს, რომ ეს წინასწარმეტყველებანი
სწორედ იესოს ეხება. იგი რწმენაში შედის,
და ამიტომ ნათლობას ითხოვს.

24 აპრილი

პასექის III კვირა [III], თ

პარასკევი
2026

წმ. ფიდელ სიგმარინგენელი, კაპუცინი, წამებული შვეიცარიაში, +1622.

საქმ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

მე ვარ იესო, რომელსაც შენ დევნი საქმ 9,5

ვისმენთ სავლეს ცვლილებას. რწმენიდან, რომელიც მას სიძულვილსა და მკვლელობას უბრძანებდა, მიდის იქამდე, რომ თავად ხდება სიძულვილისა და სიკვდილის ადრესატი იმ იესოს სახელით, რომელიც მარტივი კითხვით აგონებს თავის ხმას: „რად მდევნი მე?". სავლე სამ დღეს გაატარებს სიბნელეში, იონას მსგავსად: თვალებს კვლავ გაახელს ნათლობისას და აღარ შეწყვეტს იესოზე საუბარს და მისთვის ტანჯვას.

25 აპრილი

შაბათი
2026

წმ. მარკოზ მახარებელი, დ, [ს], წ

1პეტ 5,5-14; ფს 88; მარ 16,15-20

თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ ტკბილად 1პეტ 5,10

პეტრე ამბობს ამ სიტყვებს მარკოზის მისა-
ლმების გადაცემის წინ, რომელიც მას "ჩემ
შვილად" მოიხსენიებს. დღეს სწორედ მა-
რკოზის დღეს ვზეიმობთ, რომელმაც თავისი
სიცოცხლე იესოსთვის გასცა, რათა მისი
სახარება გამოაცხადოს. რატომ საუბრობს
პეტრე ტკივილებზე? ვინც იესოს მიყვება,
ყოველთვის ექნება სიხარული, რომ თავისი
ჯვარი ატაროს, როგორც მან ატარა.

26 აპრილი

კვირა
2026

პასექის IV კვირადღე, «ა», [IV], თ

საქმ 2,14.36-41; ფს 22; 1პეტ 2,20-25; იო 10,1-10

მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის ლოცვის დღე

ცხვრები ისმენენ ძის ხმას იო 10,3

ეს არის მწყემსის ხმა. ცხვრები იცნობენ მის ხმას. და ჩვენ ვიცით იესოს ხმა: შეგვიძლია გავარჩიოთ, რომ რასაც გვეუბნებიან, მისგან მოდის თუ სხვა წყაროდან. მხოლოდ მწყემსის სიტყვას მოვისმენთ. მხოლოდ მისი სიტყვა გვაძლევს სიცოცხლეს.

27 აპრილი

ორშაბათი
2026

პასექის IV კვირა [IV], თ

საქმ 11,1-18; ფს 41-42; იო 10,11-18

ძმას ყოყვარეარ იო 10,17

იესო გვიცხადებს მამას. ვინ არის? იგი არის ის, ვინც მას უყვარს, რადგან იგი ღმერთის ცხოვრებას ეწევა. იგი არის ის, ვინც სრულიად თავის თავს უძღვნის ძეს, იმდენად, რომ მას თავის მამად მოიხსენიებს. მამა და ძე ერთად არიან, ამიტომ იესო დარწმუნებულია მამის სიყვარულში.

28 აპრილი

სამშაბათი
2026

პასექის IV კვირა [IV], თ

წმ. ლუი მარი გრინიონ დე მონფორტი, ხუცესი, მონაზონთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1716;
წმ. პეტრე შანელი, ფრანგი ხუცესი მარისტი, ოკეანიის პირველი წამებული, +1841 ფუტუნაში;

საქმ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

იესო- ᲣᲤᲐᲚᲘᲐ საქმ 11,20

ყველამ უნდა იცოდეს ეს. წარმართებსაც
კი ძალუძთ ამ საიდუმლოს გაგება, და იმ
წუთიდან, როცა ისინი ამას გაიგებენ აღარ
არიან წარმართები! მოწაფეები, რომლებიც
დევნის გამო იერუსალიმიდან დაიფანტნენ,
ბევრს არ დარდობენ. იესო ყველა ადამია-
ნისთვის მოვიდა: მან მიიღო ქანანელი ქალი
და ასისთავი, წარმართები: რაკი ნახა მათში
მისდამი რწმენა, თავისი სიყვარული უბოძა
მათ. და მან მოციქულები მთელ სამყარო,
ყველა ხალხს მიუვლინა!

29 აპრილი

ოთხშაბათი
2026

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწული, ტერციარი დომინიკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1380 რომში, ევროპის მფარველი, დ, თ, [ს]

1იო 1,5 - 2,2; ფს 102; მთ 11,25-30

ყველაფერი ჩემისგან მოქცეულ მთ 11,27

იესომ უწყის მამის სიყვარულს. იცის, რომ ყველაფერი მისგან აქვს, და ამიტომ ყოველთვის მადლიერია. იცის, რომ მამამ მას ყველა ადამიანი მიანიჭა, რათა უყვარდეს, და ამიტომ მას საკუთარ თავს უძღვნის მათთვის. ეს შეისწავლეს წმიდანებმა. მათ შორის დღეს ვმადლობთ ეკატერინეს, რომელმაც ნამდვილი სიყვარულით უძღვნა თავი ეკლესიისა და იტალიის ქალაქების სასიკეთოდ. ღმერთისადმი დამყოლობით მას ყველა ხალხისათვის მოაქვს სიკეთე ევროპაში.

30 აპრილი

ხუთშაბათი

2026

პასექის IV კვირა [IV], თ

(17.IV) წმ. ეფრემ დიდი მაწყვერელი, IXს; წმ. პიუს V, პაპი, +1572 რომში

საქმ 13,13-25; ფს 88; იო 13,16-20

კეცანო ისრაელიანნო, ისმინეთ საქმ 13,16

წმიდა პავლე პისიდიის ანტიოქიის სინაგოგაში მსმენელთა ყურადღებას იპყრობს. იგი აპირებს მათ ღმერთის საიდუმლო გამოუცხადოს, ძის სიცოცხლე, სიკვდილი და აღდგომა. ეს საიდუმლო ნამდვილად საჭიროებს სრულ ყურადღებას: მისი გაგება არ კმარა, აუცილებელია მისი მიღება და შეყვარება.